ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6521673

ნომერი: AR1971364

თარიღი : 16.06.2023

გაცემის თარიღი : 28.06.2023

გაცნობის თარიღი : 28.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზისრი №21-ში, სააქციო საზოგადოება "პროკრედით ბანკი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ელექტრო ავტომობილების დამტენი აპარატის ნაცვლად ახალი ელექტრო ავტომობილების დამტენი აპარატის განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882023122580 14.03.2023 წ.; საკადასტრო კოდი №01.10.15.009.009, არესბული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი, მინდობილობა, ესკიზური ნახაზები) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზისრი №21-ში, სააქციო საზოგადოება "პროკრედით ბანკი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ელექტრო ავტომობილების დამტენი აპარატის ნაცვლად ახალი ელექტრო ავტომობილების დამტენი აპარატის განთავსების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო დავალებით ჩასატარებელი სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.